ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01251432153**
თარიღი: **23/05/2025**

ადრესატი: ნათია ალექსიადის
პირადი ნომერი: 01009002335
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის III კვარტალი, კორპუსი 27ბ, ბინა 6

თქვენი, 2025 წლის 10 აპრილის N01251003143-67 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.015) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნას გაცნობებთ, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 7 მაისის N25.722.832 განკარგულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20 მაისის N55-44 დადგენილებას.

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.722.832
7 / მაისი / 2025 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2025 წლის 10 აპრილის N01251003143-67 განცხადებით ნათია ალექსიადისმა (პ/ნ 01009002335) მოითხოვა ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.015) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ბ) 2025 წლის 25 აპრილის N01251151794-67 განცხადებით მარიკა ცქიტიშვილმა (პ/ნ 42001005211) და იაშარ რაფაილოვმა (პ/ნ 01391012858) მოითხოვეს ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.027.007) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

გ) 2025 წლის 23 აპრილის N01251131474-67 განცხადებით შპს „ბილდ ჯორჯიამ" (ს/ნ 405085731) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნუგზარ საჯაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.157) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) 2025 წლის 1-ლი მაისის N01251212162-67 განცხადებით ლაშა პაპელიშვილმა (პ/ნ 59004003993) მოითხოვა ქალაქ თბილისში, კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.015) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ე) 2025 წლის 12 აპრილის N012510237-67 განცხადებით მურადი ბარდაველიძემ (პ/ნ 01001020461) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.48.227) ნაწილზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა;

ვ) 2025 წლის 7 აპრილის N01250974498-67 განცხადებით რევაზ ებრალიძემ (პ/ნ 01019015988) მოითხოვა ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.254) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.015) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

N01.14.03.039.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (1625 კვ.მ) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნის მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიაზე ჰოსპიტალ „კავკასიის მედიცინის ცენტრის" მიერ ახალი სამედიცინო ფუნქციის მქონე ბლოკის მშენებლობა, კლინიკის დიაგნოსტიკური მხარის განვითარებისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 16 აპრილის N0125106507 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.015) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.027.007) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში, N01.16.03.027.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 7 მაისის N0125127705 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.027.007) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ნუგზარ საჯაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.157) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

N01.19.23.009.157 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გენ-გეგმის მიხედვით, შენობის მცირე ნაწილი მოქცეულია შიდაკვარტალური

(ურბანული) გამწვანების გავრცელების არეალში. ფაქტობრივი მდგომარეობით, აღნიშნულ არეალში არ დგას ხე-ნარგავ(ებ)ი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 2 მაისის N0125122790 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, რომ მოთხოვნილ არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუგზარ საჯაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.157) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.015) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.18.13.049.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ცენტრალური ოფისისა და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამედიცინო, სპორტული, სამეცნიერო დანიშნულების, ასევე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება შეუძლებულია არსებულ ფუნქციურ ზონაში (სამრეწველო ზონა 1), ამასთან აღნიშნული საქმიანობა არ მოიცავს საცხოვრებელ ფუნქციას, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება შემდგომში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ცენტრალური ოფისისა და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.015) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.48.227) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილებას განიხილავს, როგორც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევას. ამასთან, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე - N72.13.48.221, N72.13.48.218, N72.13.10.473 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთის თანაბარ პირობებში, საერთო მახასიათებლების მქონე გარემო-განაშენიანებაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 2 მაისის N18-0125122818 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ ზემოაღნიშნულ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა (რზ).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.48.227) ნაწილზე, ასევე, N72.13.48.221, N72.13.48.218 და N72.13.10.473 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილებზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.254) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო მიწის ნაკვეთის შეძენა და სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 1 მაისის N0125121968 წერილით აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გაუქმდეს მხოლოდ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთით, თეიმურაზ I-ის ქუჩის მხრიდან, ჩრდილოეთით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მიჯნამდე. ხოლო სამომავლოდ, განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განსახილველი ტერიტორიის ჩრდილოეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი შენარჩუნდეს უცვლელად.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, 2025 წლის 30 აპრილის N7/22597 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი N01.10.06.001.254 საკადასტრო ერთეულზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.10.06.001.254 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე დაურეგისტრირიებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.254) და მომიჯნავე დაურეგისტრირიებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ე.ბ" ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.015) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, ხონის ქუჩა N5ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.03.027.007) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ნუგზარ საჯაიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.157) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.049.015) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.48.227) ნაწილზე, ასევე, N72.13.48.221, N72.13.48.218 და N72.13.10.473 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილებზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონის (რზ) მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, შესახვევი N13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთსა

(საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.254) და მომიჯნავე დაურეგისტრირიებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისა (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 55-44

“ 20 ” მაისი 2025 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)” ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)” ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ. 1:10,000



თბილისი კარგად შეკავშირებული ქალაქი

ტექნიკური მახასიათებლები

პირობითი აღნიშვნები

ზონირება

თბილისი მწვანე ქალაქი

თბილისი კომპაქტური ქალაქი

პოლიცენტრული განვითარება


ლეგენდა
1:31,796


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
1:30,000


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
ფუნქციური ზონები
ლეგენდა
1:30,000

გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 17

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ნათია ალექსიადის

მესაკუთრე: სააქციო საზოგადოება "მეგა-ლაბი„ 405211319
შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი“ 404925747

მისამართი: ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N 23

საკადასტრო კოდი: 01.14.03.039.015- ნაწილზე

მიზნობრიობა: საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=605028&lrId=10880#/C=44.7314511-41.7220751@Z=17

განცხადების ნომერი: 01251003143-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 1625 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1)

ზონირების ბალანსი

საკითხი 17

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტლური) (1625კვ.მ)	**სპეციალური ზონა-1** (სპეცზ-1) (1625კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2025 წლის 16 აპრილის N 0125106507 წერილით სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი, გადასარგავი მწვანე ნარგავები

პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი, გადასარგავი მწვანე ნარგავების განლაგების გეგმა


C
01.14.03.039.002
01.14.03.039.042
01.14.03.039.015
01.14.03.039.018
01.14.03.039.017
01.14.03.039.016
01.01.916
01.00.212
ბაზისური
ასფალტი
ბეტონი
ბილიკი
ბორდიური
ბუჩქნარი
ბალახი
ბალახნარი
ბეტონის ბორდიური
ბეტონის ბილიკი
ბეტონის ბორდიურის
ბეტონის ბილიკის
ასფალტის
ბალახნარის
ბალახის
ბუჩქნარის
ბორდიურის
ბილიკის
ბაზისური
ასფალტის
ბეტონ

დიდტანიანი მწვანე ნარგავის გადარგვის პროექტი

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №23

ს/კ 01.14.03.039.015

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

2025

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

შემსრულებელი: მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი: გიორგი მჭედლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (95) 63 62 62
ელექტრონული ფოსტა: giorgi.mtchedlishvili90@gmail.com

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

1. შესავალი

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით **01.14.03.039.015** არსებული **ერთი ძირი** მწვანე ნარგავი საჭიროებს გადარგვას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირის **გიორგი მჭედლიშვილის** (პ/ნ: 01019061514) მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთზე - **ს/კ 01.14.03.039.015** გამოვლინდა პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი (გადასარგავი) **ერთი ძირი მწვანე ნარგავი**, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სმ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა დიდტანიანი მწვანე ნარგავის გადარგვის ინდივიდუალურ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი, სმ
2	**ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia***	**33**



მოცემული ხე-მცენარის გადარგვა მოხდება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, (ს/კ 01.14.03.039.015; მის: ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №23).

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

გადასარგავი ხე-მცენარის გადარგვის ნაბიჯები

1. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა
2. გადარგვის ადგილის განსაზღვრა
3. გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება
4. გადასარგავი ხე-მცენარის კომის ამოღება/შეფუთვა
5. ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება
6. *ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა*

ქვემოთ აღწერილია აღნიშნული ხე-მცენარის ამოღებისა და გადარგვის პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წლის არასავეგეტაციო პერიოდში და ასევე მოცემულია გადარგვის შემდგომ მათი მოვლა-პატრონობის წესები.

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

2. ხე-მცენარის ამოღება

გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა

- გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობით, ხოლო სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-დე;

კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა, განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა;

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვა

- ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება;

ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.);

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვის შემდგომ

მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან.

შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან;

საჭიროების შემთხვევაში ხე-მცენარეზე ხორციელდება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის მიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

3. ხე-მცენარის გადარგვა

გადარგვის ადგილის განსაზღვრა

- გადარგვის ადგილი უნდა განისაზღვროს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.

გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება

- გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს ორმო:
  - ორმოს სასურველია ჰქონდეს 0.5–0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომებთან შედარებით;
  - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
  - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
  - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი);

ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება

- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით!
- ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით, ისე რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს;

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

ხე-მცენარის მოთავსების შემგომი ნაბიჯები

- ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯერებამდე.

№2 – ჩვეულებრივი კაკალი / *Juglans regia* – D = 33 სმ

4. ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
3. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
4. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება;
5. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან;
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

<u>გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.</u>

შემსრულებელი: მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი, **ექსპერტი გიორგი მჭედლიშვილი.**

ხელმოწერა: .....

დასკვნის გაცემის თარიღი: 27/03/2025 წ.

დიდტანიანი მწვანე ნარგავის გადარგვის პროექტი

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №23

ს/კ 01.14.03.039.015

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

2025

№4 – ჰიმალაის კედარი / *Cedrus deodara* – D = 54 სმ

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

შემსრულებელი: მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი: გიორგი მჭედლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (95) 63 62 62
ელექტრონული ფოსტა: giorgi.mtchedlishvili90@gmail.com

№4 – ჰიმალაის კედარი / *Cedrus deodara* – D = 54 სმ

1. შესავალი

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით **01.14.03.039.015** არსებული **ერთი ძირი** მწვანე ნარგავი საჭიროებს გადარგვას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირის **გიორგი მჭედლიშვილის** (პ/ნ: 01019061514) მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთზე - **ს/კ 01.14.03.039.015** გამოვლინდა პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი (გადასარგავი) **ერთი ძირი მწვანე ნარგავი**, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სმ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა დიდტანიანი მწვანე ნარგავის გადარგვის ინდივიდუალურ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი, სმ
4	**ჰიმალაის კედარი / *Cedrus deodara***	**54**



მოცემული ხე-მცენარის გადარგვა მოხდება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, (ს/კ 01.14.03.039.015; მის: ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №23).

№4 – ჰიმალაის კედარი / *Cedrus deodara* – D = 54 სმ

გადასარგავი ხე-მცენარის გადარგვის ნაბიჯები

1. • გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა
2. • გადარგვის ადგილის განსაზღვრა
